საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1260 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის შპს „მილერ
გრუპისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა
და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „მილერ
გრუპისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის
შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის
№323 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომ შპს „მილერ გრუპს“ (ს/კ: №405076233) იჯარის უფლებით გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფარახეთში მდებარე 72.0646 ჰა სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №88.05.23.050) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირით - 1080 (ერთი ათას ოთხმოცი) ლარად.

2. ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ნივთის იჯარის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ა.ა) ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფარახეთში მდებარე 6506 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №88.10.25.006) არანაკლებ 60 (სამოცი) სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე გათვლილი ფერმ(ებ)ის მშენებლობა და მოწყობა;

ა.ბ) ამ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, არანაკლებ 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

ბ) ყოველი წლის დეკემბრის თვეში, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული ქონების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად), შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, შპს „მილერ გრუპმა“ წარადგინოს ამავე პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც ამავე ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების გამოცემისთანავე ძალადაკარგულად

გამოცხადდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების შპს „მილერ გრუპისათვის“ იჯარის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №323 განკარგულება.

5. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

ინფორმაცია

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე
პირველადი პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია

ფიზიკური/იურიდიული პირი	
რეგისტრაციის თარიღი/საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ს/ს სავარგული სულ (მიუთითეთ ფართობი, სარწყავი/ურწყავი), მათ შორის:	
ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (კულტურების და სახეობების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	
მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (კულტურების და ჯიშების მიხედვით) --- წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	
სილოსის და ცხოველთა საკვების წარმოება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები/ბალახები) ნათესი ფართობები და წარმოება --- წარმოებული პროდუქციის მოხმარება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი) ---	

საძოვარი (მიუთითეთ ფართობი და პირუტყვის (მსხვილფეხა (მათ შორის ფური)/წვრილფეხა) რაოდენობა) ---------- ----------
წარმოებული პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა პროდუქციის სახეობების მიხედვით (მათ შორის ცოცხალი პირუტყვი) და გასაღების ბაზარი) ---------- ----------
რა სახის ღონისძიებები გაატარეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით? ---------- ----------
გაიარეთ თუ არა კონსულტაციები? (ვისთან) ----------